ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **46-462322019**
თარიღი: **08/08/2023**

ადრესატი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

დავით შარაშიძის

ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ა

ბატონო ირაკლი,

,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის #239 დადგენილების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ინიციატივას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების დროს 3 ჩოხატაურელი ახალგაზრდა დაიღუპა, მათ შორის სოფელ ზოტის მკვიდრი მურთაზ გურამის ძე ირემაძე. ის ერთ-ერთია იმ სამხედრო მოსამსახურეებიდან, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოში განვითარებულ საომარ მოქმედებებს შეეწირა.

მურთაზ გურამის ძე ირემაძე დაიბადა 1986 წლის 11 მარტს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში. 2003 წელს დაამთავრა ზოტის საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო ინსტიტუტში. მე-3 კურსის დასრულების შემდეგ წავიდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. 2007 წლიდან კი, სავალდებულო სამხედრო სამსახურის რიგითი მურთაზ ირემაძე ჩაირიცხა საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში და დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების მე-4 ქვეითი ბრიგადის 41-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში.

სამხედრო მოსამსახურე, კაპრალი მურთაზ ირემაძე 2008 წლის 7 აგვისტოდან მივლინებული იქნა ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად.

2008 წლის 9 აგვისტოს, ყუმბართმტყორცნიდან ნასროლი ჭურვის ნამსხვრევევიდან მიღებული დაზიანების შედეგად, მურთაზ ირემაზე ადგილზე, საომარი მოქმედების დროს გარდაიცვალა.

კაპრალი მურთაზ ირემაძე, გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა მედლით ,,მხედრული მამაცობისათვის“.

2010 წლის 21 ივნისს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიენიჭა სამშობლოს დაცვის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე გარდაცვლილი მურთაზ ირემაძის სახელი და ეწოდა - ,,მურთაზ ირემაძის სახელობის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა“.

მურთაზ ირემაძის მიერ სამშობლოს დაცვის საქმეში გამოჩენელი მამაცობის, თავდადებისა და მისი სახელის უკვდავსაყოფად, მოგმართავთ ინიციატივით, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის #239 დადგენილების შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე პირველ ქუჩას ეწოდოს მურთაზ ირემაძის სახელი.

ინიციატივას თან ერთვის შესაბამისი დოკუმენტაცია 13 ფურცლად.

პატივისცემით,

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი